ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3178080

ნომერი: AR1488656

თარიღი : 22.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 19 , კორპუსის წინ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ქუთათელაძე პ/ნ 60001138088
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 42 ბ. 44

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1488656 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში #01.10.06.014.057 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ითხოვთ მომართვის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 24 თებერვალს #AR1481326 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.10.06.014.057 საკადასტრო ერთეულზე, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა. საკითხი განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 წლის 02 მარტის #09 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც, აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. (სამსახურის 2017 წლის 31 მარტის # 3135854 წერილი).
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში #01.10.06.014.057 საკადასტრო ერთეულზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
დამატებით გაცნობებთ, რომ ობიექტზე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.